№ 424. ორშაბათი, 12 იანვარი. 1896—1898 ორშაბათი, 12 იანვარი. № 424.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
რელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე ღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გ საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 ...
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 ... მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

მინდა ვიყიდო
(6—4)
ცოცხალი
კავკასიის გარეული ცხოველები:
ირმები, ჯეირნები, გარეული თხები, შურთხები, ჯიხვები, ვეფხვები, არჩვები, არნები, ფოცხვერები. გარეული ღორები, ჯოხცხენები და სხვ.
საჭიროა აგრეთვე დიდრონი ირმის რქები.
მსურველთ მიჰმართონ პირადად ან წერილით მიხეილის ქუჩაზე № 106, ეზოში; ბარამოვის სახ.
ჰუგო ვინკლერს
Тифлисъ, Михайловская, № 106, Гуго Винклеру.



## Общестуденческій обѣдъ

12 Января, въ 3 часа дня, состоится въ Тифлисскомъ собраніи, обычный ежегодный обѣдъ студентовъ, какъ университетовъ, такъ и другихъ высшихъ учебныхъ заведеній. — Желающіе подписаться на этомъ обѣдъ, могутъ получать билеты (*по 4 руб. 25 коп. со всѣми расходами*) у г.г. распорядителей: *С. У. Ананова* (Головинскій просп. свой домъ), *М. Д. Ельчукова* (1-ая Классическая гимназія, или Кирпичная, № 8), *Ю. Н. Милютина* (Гудовича улица, д. № 2), *Н. В. Струве* Ново-Коргановская, д. № 8), *А. С. Френкеля* (Грибоѣдовская, д. № 33), *С. Б. Халатова* (Лабараторная ул., свой домъ), *Л. Б. Хиддекеля* (Книжный магазинъ), *Л. У. Шевалье* (Коджорская № 1) *Тифлисскомъ Собраніи, Тифлисскомъ Кружкѣ, Артистическомъ Обществѣ* и въ редакціи *„Новаго Обозрѣнія“*. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა
ქუთაისის გუბერნიაში და მისი საქმეები
ნ. წერეთლისა
შინაარსი:
I. რამ გამოიწვია დაარსება «მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა»?
II. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის“ მოქმედება.
III. „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“ და ბ. ი-ბ ძ—ძე
IV. რა და რა ნაკლს პოულობს ი. ძ—ძე „მეაბრეშუმეთ. პირველი ამხანაგობის“ საქმეთა წარმოებაში.
ფასი 5 კაპ. (15—10)

გამოვიდა და ისყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჩაბარიანისა
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაუთმობთ.
იქვე ისყიდება 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი
„ბოჭოალმბი“
თარგმანი ივ. მაჩაბარიანისა
ფასი 30 კაპ. (39)

ფორტოპიანოს ქარხანა
ა. კოპპისა
მიხეილის ქუჩა № 132, ტფილისში
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ იგი ამზადებს და აკეთებს ფორტოპიანოს თავისს ქარხანაში ახალის საქვეყნოდ ცნობილის მექარხნეს ბლუტნერის წეს-რიგით და მოწყობით.
სიმაგრე და სისწორ-სიწმინდე საქმისა საგანგებოდ



Фортепіанная фабрика А. Коппъ
*Тифлисъ, Михайловская ул. № 132*
Приготовленіе піанино по новѣйшей конструкціи всемірно извѣстной фабрики Блютнера
За пѣвучесть тона и прочность полноручательство (25—8)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერხეულიძის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

Пансіонъ и училище
Учительницы
Н. Дидебулидзе
Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—59)

ფოტოგრაფია
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს — რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
*Коллекція древностей*
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—14)

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11 საათ. სალოსტაქარო, ვენერი (სიფილისი) საშარდეს ავადმყ... ბანი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ ... ულებანი: შინაგანი, თვალის ... ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო 10 11½ ს. ბავშვების და ქალ... ავადმყოფ. და უცრის ყვავილ...
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11 12 საათ. ქალთა ავადმყოფობა...
ი. ფ. პრიტასევიჩი 12—1 ყურების, ცხვირის, ყელის და ... ლის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1 შინაგანი და ბავშვების ავადმყ...
ა. გ. გურკო. დღით 1½— შინაგანი, ყურის, ყელის და შარდის ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 5—6 საათ ... ნაგან და ბავშვების ავადმყოფ...
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½,
ა. ნ. შჩეკოტსკი 6—7 საათ. ... რვების, ვენერიულ და ზედაკანის ...
ტ. ი. რუდენკო — სამკურნალ... გამოიკვლევს ქიმიურად და მი... სკოპიულად შარდს ნახველს, სის... ლეს და სხვ.
რჩევა — დარიგებისა და რეცეპტების ... წრის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის ... სად; ფასი კონსილიუმისა და ოპერაც... სთვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქ... მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра ... васардіана
Тифлисъ, противъ памятн. Бороно...

გამოვიდა და ისყიდება
ძმათა თავართქილაძეთა ახლად გამოცემული
დრამატიული თხზულება
აკ. წერეთლისა
მეორე ტომი, ფასი 50 კაპ.
კედლის კალენდარი
1898 წლის
ფასი 30 კ. (25—14)

სამკურნალო და ამბულატორი...
ს. ვ. თოფურიას
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ა... მყოფთათვის. მიიღებიან ავადმყ... ნი: შინაგანისა, ნერვების, საქ... ო, თვალისა და დედათა ავად... ფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ იღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის საათიდგან ნაშუადღევის 3 საა... დე. შინაგან და ნერვების ავად... ფობას სწამლობს ს. ვ. თოფურ... საქირურგიო ავადმყოფობას და... ფლისს ფ. ი. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნ... ქალი ... ომბანი.
თვალების ავადმყოფობას — ... მაჩაბელი.
ამბულატორიაში არის კაბინე... საექიმო და საბაქტერიოლოგ... გამოკვლევათათვის, ელექტრო... წამლობისთვის და ... სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურ...
*Лѣчебница С. В. Топуриа въ Кута...*

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია ხახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
... ნ მოუთლებელი 12-მდე და აგრეთვე სხვა- ... და განის.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან წიგნებით მოვაჭრეებთან ივანე ჩითაიშვილის გამოცემა № 2
ეზოპის არაკები
თარგმანი
ბ. დავითაშვილისა
სუფთად კარგს ქაღალდზე დაბეჭდილი 41 გვერდი
ფასი ერთი შაური
(5—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

გამოვიდა
ახალი ქართული წიგნი
ივდითი
... რაგედია ხუთ მოქმედებად
ჯიაკომეტის
თარგმანი ივ. მაჩაბარიანისა
ფასი 30 კაპ.

# დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

10 იანვარი.

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია 1898 წლის 1 იანვრიდამ 150,000 მან. გადიდვას ყოველ წლივ ხაზინიდამ საეკკლესიო სასწავლებლების ხარჯად და გარდა ამისა 500,000 მან. მოემატოს ქალაქებში და სოფლებში სამღვდელოებისათვის გადადებულს თანხას.

**კანეა.** ადმირალებმა თხოვნით მიჰმართეს თავისს მეთაურს, რომ მან მოსთხოვოს გუბერნატორს ისმაილ—ბეის კანდიის ვიცე-გუბერნატორის შეფკი-ბეის სამსახურიდამ დათხოვნა, რადგან კანდიაში აჯანყებულებმა ბევრი ძარცვა და ავაზაკობა ჩაიდინეს.

**ლონდონი.** პორტ-არტურში მდგომ ბრიტანიის სამხედრო გემებს ბრძანება მოუვიდათ, რომ საჩქაროდ გავიდნენ იქიდამ.

**პარიზი.** ნაბრძანებია შეიარაღდეს გემი „ბრიუი“ აღმოსავლეთის ესკადრის მისაშველებლად. ტულონშიაც ბრძანება გაგზავნეს, რომ შეიარაღდეს გემი «ვობან» და ზედ ადმირალის ბომონის დროშა იქმნება აღმართული. ბომონი ინიშნება აღმოსავლეთის ესკადრის უფროსად.

სამი ექსპერტი, რომელნიაც ზოლა აბრალებდა ესტერგაზის საქმის შესახებ ყალბ მოხსენებათა შედგენას, ზოლას სამართალში აძლევენ და თხოულობენ, რომ მათს სასარგებლოდ გადაიხადოს 100,000 ფრანკი.

შუადღემდე სტუდენთა უბანში სიმშვიდე იყო. პოლიციამ 50 კაცამდე დააპატიმრა, რომელნიც უსაქმოდ დაეხეტებოდნენ უბანში.

**პარიზი.** ისევ იქვე მოხდა მანიფესტაციები, ბევრნი შეიპყრეს.

**შერბურგი.** თუ ჩინეთის ზღვებში კიდევ საჭირო შეიქმნა ახალი გემების გაჰგზავნა, მაშინ გაემგზავრებიან გემები «ბრიუი» და „...ტ...ულ“.

**ალჟირი.** სამხედრო ს...ულოს დარბაზის წინ მანიფესტაციები მოხდა, ამას მოჰყვა ჩხუბი და პოლიციასთან შეტაკება; ბევრი დააპატიმრეს.

**პარიზი.** დღეს 115 კაცამდე შეიპყრეს.

**პარიზი.** სტუდენტთა მანიფესტაციები არ დაწყნარებულა.

ალჟირში შეიპყრნენ; ერთი სტუდენტი დასჭრა ებრაელმა და ერთის ებრაელის მაღაზია აიკლეს.

რუანაში პოლიცია შეეტაკა სტუდენტებს, მაგრამ ვერ გაჰფანტა; ჯარები მომზადებულნი დგანან თავიანთ ყაზარმებში.

**ნანსი.** მანიფესტაციები არ დაწყნარებულა; ბევრს აპატიმრებენ. ალლუმის დროს ყვიროდნენ «გაუმარჯოს ჯარსა!.. „შორს დრეიფუსი!» სინდიკატის მომხრე გაზეთები დასწვეს ფაკულტეტის კიბეზე. 200 სტუდენტმა ქალაქს გარეთ მოიყარეს თავი და გადასწყვიტეს დააარსონ ანტისემიტთა კომიტეტი და მოსალოცი დეპეშები გაუგზავნონ როშფორს და დრიუმონს.

**პარიზი.** 200 რეკრუტმა მანიფესტაცია მოახდინეს და ყვიროდნენ; პოლიციამ გაჰფანტა ისინი და 40 მათგანი შეიპყრო.

# ახალი ამბავი

*** **წირვა და პანაშვიდი მეფე ერეკლეზე.** გუშინ, კვირას, დილა ადრიანად სიონის ქუჩა და მასთან ახლო-მახლო შესახვევი ქუჩები ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა. ათს საათზე მთელი ეგ უბანი გაჭედილი იყო ხალხით.

სიონის ტაძარი და მისი დიდი გალავანი აივსო მლოცველებით, რომელთა შორის შეჰხვდებოდით დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, საერო და სასულიერო წოდებას, რუსობას, სომხობას, თათრებსა და ქართველობა ხომ აუარებელი იყო.

თერთმეტის დასაწყისში ტაძარს მოაწყდა დიდკაცობა, წარჩინებულნი პირნი, მოხელენი, მხედარნი და სხვა კეთილ-შობილთა გვარეულობისანი, თავად-აზნაურობა, მაზრების წინამძღოლნი, სადეპუტატო კრების წევრნი და სხვანი მრავალნი.

პანაშვიდს დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინი და მასთან ტფილისის გუბერნატორი, ვიცე—გუბერნატორი და ზოგიერთი წევრნი მთავარ მართებლის საბჭოსი.

მწირველად ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი და ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე, არქიმანდრიტი ლეონიდი და სხვა მრავალი სამღვდელოება.

წირვა და გალობა იყო ქართულ ენაზე და რუსულადაც შიგ ტაძარში ტევა არ იყო. გალავანში იმდენი ხალხი იყო, რომ ნემსიც არ ჩავარდებოდა, ხოლო ქუჩებზე ისეთი აუარებელი ხალხი იდგა ყველა წოდებისა და ხარისხისა, ყველა რჯულისა და სქესისა, რომ მოძრაობა შეწყვეტილი იყო. ამ დღეს დაახლოვებით სიონის ტაძარში, ეზოში და ქუჩებზე იქნებოდა ოცი ათასამდე სული.

წირვის დროს არქიმანდრიტმა ლეონიდმა წარმოსთქვა ამ დღის შესაფერი სიტყვა, რომელსაც ხვალ დავბეჭდავთ. თვითონ ეგზარხოსი წირვის დროს ზოგიერთს ლოცვებს ქართულ ენაზე ამბობდა.

პანაშვიდზე, როგორც ზემოდაც ვსთქვით, დიდძალი თავად-აზნაურობა იყო: თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე სახლთუხუცესი, თავ. ი. გ. ამილახვარი სახლთუხუცესი, უგანათლებულესი თავადის ასული ეკატერინე ირაკლის ასული გრუზინსკისა ერეკლე მეფის შვილის-შვილის-შვილი, სხვა წარჩინებულნი ქალნი თუ ვაჟნი, ქართულ, რუსულ და სომხურ მწერლობის წარმომადგენელნი.

წირვა და პანაშვიდი დასრულდა პირველ საათზე და ხალხი თითქმის სამს საათამდე არ დაშლილა.

*** **თავად-აზნაურთა მადლობა.** იმავე დღეს, წირვის შემდეგ მარშალმა გენერალ საგინაშვილმა მოიწვია თავად-აზნაურნი დეპუტატთა საკრებულოში, სადაც თავად-აზნაურებმა მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს გამოეცხადოს მადლობა მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს პანაშვიდზე დასწრებისათვის და აგრეთვე ყოვლად უსამღვდელოესს ეგზარხოსს ვლადიმერს ქართულად წირვის შესრულებისათვის. მადლობის გამოცხადება თავად-აზნაურობამ დაავალა გუბერნიის წინამძღოლის მოადგილეს გენერალ საგინაშვილს მაზრის მარშლებს და რამდენიმე წარჩინებულ თავად აზნაურთ, რომელთაც იმავე დღეს ინახულეს მთავარ-მართებელი და ეგზარხოსი

ამავე დროს თავად-აზნაურობამ დაადგინა სთხოვოს ბ-ნ გუბერნატორს ამ თვის ოცდა-ხუთში დაინიშნოს საგანგებო კრება თავად-აზნაურთა, რომელმაც უნდა შეიმუშავოს და განიხილოს მადლობის გამოცხადების ბარათი, რომელიც უნდა მიერთვას ხელმწიფე იმპერატორს.

*** **მთავარ-მართებლის გამგზავრება პეტერბურგში.** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი 1 თებერვალს მიბრძანდება პეტერბურგში სამსახურის საქმეებისა გამო. მთავარ-მართებელს თან გაჰყვებიან მისი კანცელარიის დირექტორი ი. ვ. მიცკევიჩი და საქმეთა მწარმოებელი ვ. სლოვინსკი.

*** **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ფრიად საინტერესო წიგნაკი: „საქართველოს მეფობის უკანასკნელი წლები“. ეგ წიგნი შეუთხზავს გენერალ-ლეიტენანტს ს. ი. ქიშმიშევს, რომელიც შარშან ზაფხულში გარდაიცვალა და მოგვითხრობს მეფე ერეკლეს მეფობის დროს, ხოლო ეგ თხზულება დამთავრებული არ არის, რადგან საქართველოს მეფობის უკანასკნელის წლების (1798—1800 წწ.) შესახებ შიგ არაფერია ნაამბობი.

*** **თავ. მუხრან-ბატონის ჭრილობის გამოკვლევა.** 10 იანვარს, საღამოს, თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის სახლში თავი მოიყარეს ქალაქის ქირურგებმა, რომელთა შორის იყვნენ, ბ. ბ. მაისურიანცი, მალალაშვილი და როზენბაუმი და რენტგენის სხივების საშუალებით გამოიკვლიეს თავადის ჭრილობა. გამოკვლევა საუცხოვოდ გათავდა და ბ. მაისურიანცის აზრით, რომელიც ექიმობს თავადს, სრულებით არ არის საჭირო ტყვიის ამოღება.

თავ. მუხრან-ბატონი ამ ჟამად იმდენად გამორჩა, რომ მისის თავმჯდომარეობით ამ დღეებში მოხდება თავად-აზნაურთა კომისსიის სხდომა ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ.

† **გენერალ-ლეიტენანტი ჰოლმბლატი.** 9 იანვარს ღამის 11 $^1/_2$ საათზე ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავკასიის სამხედრო სამკაულის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ოსკარ ედუარდის ძე ჰოლმბლატი.

*** **საჩუქარი სომეხთა კათოლიკოსს.** გაზ. „ნორ-დარი“ გვაუწყებს, რომ კავკასიის მთავარ-მართებელს საჩუქრად უძღვნია სომეხთა კათოლიკოსის მკრტიჩ ხრიმიანისათვის ვეფხვის ტყავი.

*** **ახალი დაწესებულება.** სამხედრო მინისტრს გამოუგზავნია კავკასიის მთავრობისათვის გეგმა ბეგარათ ინსპექტორებისა და მათის თანაშემწეების დანიშვნისა იმ ადგილებშიაც, რომელნიც სამხედრო უწყებას ექვემდებარებიან.

*** **კავკასიელ მეაბრეშუმეთა დაჯილდოვება.** კავკასიის სააბრეშუმო სადგურს მოსვლია ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტისაგან „მოწონების ბარათები“ და მედლები იმ მეაბრეშუმეთა გარდასაცემათ, რომელნიც დაჯილდოვებული იქმნენ ნიჟნი-ნოვგოროდის გამოფენაზე.

*** **საბაღოსნო გამოფენა.** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება 1 თებერვალს გამართავს ნაადრევის ბალ-ბოსტნეულის გამოფენას სააბრეშუმო სადგურზე მუშტაიდში. ვისაც ჰსურს თვისის ნაწარმოების გამოფენა უნდა მოიტანონ 1 თებერვალს დილით სააბრეშუმო სადგურზედ.

*** **ახალი წეს-რიგი რკინის გზებზე.** რადგან რკინის გზებზე მეტის მეტად გახშირებულია უბილეთოდ მოგზაურობა და ამაში უმთავრესი ბრალი თვით რკინის გზის მოხელეთა და კონდუკტორებს ედებათ, რკინის გზათა მმართველობას განკარგულება მოუხდენია, რომ სასტიკი ყურადღება ექმნეს ხოლმე მიქცეული მოგზაურებსო, გარდა ჩვეულებრივის კონტროლიორებისა დრო გამოშვებით უნდა დანიშნონ ხოლმე საკონტროლო და სახაზინო პალატის მოხელენი და გარდა ამისა სადგურის უფროსები მოვალენი არიან კვირაში ერთხელ მაინც მოულოდნელად გასჩხრიკონ მატარებელი, რომ უბილეთოდ არავინ იმოგზაუროს. თუ ვინიცობაა კონდუქტორს მეორედ დაჰბრალდა უბილეთო მოგზაურის წაყვან-წამოყვანა, იგი მყისვე დათხოვნილ იქმნება სამსახურიდამ.

სასიხარულოა ეგეთი ფიცხელი ზომების მიღება, მაგრამ განა ეგ პირველია?...

*** **ს. ლასურია (ლეჩხუმი) კაცის მოკვლა.** ს. ლასურიაში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი. 24 დეკემბერს გლეხს ალექსი ბრეგვაძეს შეშა მიჰქონდა ხარებით სახლისკენ. გზაზედ დახვდნენ ეგნატე და გარსევან ბრეგვაძეები, დაურთეს კეტები და სიკვდილზე მიაყენეს როგორც ... ქაულმა კ. ჟორჟოლაძემ აღმოაჩინა ... ში ბრეგვაძეს დახოცვია ... აწ ... ძეს სადაც ჯერ იყო, სამართლის მოსამართლეებმა ... დამნაშავედ ეგნატე და გარსევან ბრეგვაძეები და მიუსაჯეს ალექსი ბრეგვაძეს ერთი ხარი და ძროხა.

მას შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი. ალექსი ბრეგვაძე არხეინად მიერეკებოდა შეშით დატვირთულ ურმიან ხარებს; ამ დროს გადაუდგნენ გზაზე ეგნატე და გარსევან ბრეგვაძეები, ალექსის მეზობლები, და როგორც ზემოთ ვსთქვით, კეტით თავი გაუტეხეს და საწყალი მეორე დღესვე გარდაიცვალა. საქმე გამოკვლეულია და გარდაცემული სასამართლოში.

## სასარგებლო ცნობანი

**კბილის საფერავი.** აიღეთ 2 მისხალი ცაცხვის ნახშირის ფქვილი, 1 მისხალი ქინაქინა, $^1/_2$ მისხალი ფლორენციის ია (Флорентинская фіалка) ძირის ფქვილი და $^1/_2$ ან 1 მისხალი წმინდა ცარცი, — ეგ უკეთესი კარგად აურიეთ ერთმანეთში და გამოვა კბილის საფერავი წამალი.

## რედაქციისაგან

**ფასანაურში** ალ. ოგბაიძეს. თქვენი წერილები რაც-კი მივიღეთ სულ დაიბეჭდა.

**რამბაშთით** ...რ. ქუმსიშვილს. გაზეთი პირველ იანვრიდან გეგზავნებათ. მოიკითხეთ ხოლმე სადგურში.

**ფოთში.** ივ. ყანჩაველს შეცდომები უკვე შევასწორებინეთ.


# განცხადებანი

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბოროწ-ტომოეულის საპონი

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1894 წ.

ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ამბროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წულუკიძესთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან.

(24—8)